# სარევიზიო კომისიის გეგმური ანგარიში ბაფის

# 2023 წლის საქმიანობის შესახებ

პატივცემულო დელეგატებო, მოწვეულო სტუმრებო, როგორც მოგეხსენებათ ბაფის საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად მოქმედებს სარევიზიო კომისია. რომლის დებულების შესაბამისად კომისია ამოწმებს საერთო კრების, გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ბაფის წესდებასა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებთან შესაბამისობასა და მათი შესრულების მდგომარეობას, შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიანობას, მათი შესაბამისობის ხარისხს დაგეგმილ ბიუჯეტთან.

წესდების თანახმად, გეგმური შემოწმება ტარდება წელიწადში ერთხელ, როგორც წესი, საერთო კრების ჩატარების წინა პერიოდში.

ჩვენ სარევიზიო კომისიის წევრებმა თინათინ ღვინიფაძემ, მაგდა გორდეზიანმა და ლალი კობიძემ, დადგენილი წესების შესაბამისად, ჩავატარეთ ბაფის მიმდინარე წლის საქმიანობის შემოწმება, რომელიც მიმდინარეობდა 30 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე პერიოდში. შემოწმებისას განხორციელდა წესდებითა და კომისიის დებულებით გათვალისწინებული ცალკეული შესამოწმებელი საკითხის თემატური შესწავლა, ბაფის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. შემოწმებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა ბაფის საქმიანობის ანალიზი და მოგვეხდინა მისი შეფასება.

წარმოგიდგენთ საქმიანობის სფეროების მიხედვით ჩატარებული შემოწმების შედეგებს:

1. **საერთო კრების, გამგეობის, კომიტეტებისა და მენეჯმენტის გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობა და შესაბამისობა ნორმატიული დოკუმენტებთან**

***ა). გამგეობის საქმიანობა და საერთო კრების გადაწყვეტილებების შესრულება***

ბაფის 2022 წლის საერთო კრებაზე 2023 წლის სამოქმედო პრიორიტეტებად განსაზღვრული იყო:

- ✓ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ვალდებულებების (SMO) მოთხოვნების შესაბამისად დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები;
- ✓ პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაფართოება.
- ✓ წევრებთან ურთიერთობის საკითხების შემდგომი სრულყოფა, ეთიკის კოდექსის მოთხოვნებისა და ხარისხის მართვის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.
- ✓ ბაფის სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, გამგეობის დებულების, გამგეობის წევრთა ქცევის კოდექსის და საკონსულტაციო საბჭოს დებულების შემუშავება.
- ✓ სტრატეგიული მიზნის შესაბამისად სხვა საწესდებო ცვლილებების მომზადება და საერთო კრებისთვის წარდგენა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია გამგეობის 9 სხდომა (წესდებით დადგენილია მინიმუმ 4 სხდომის ჩატარება). სხდომებზე განხილული თემებიდან სამოქმედო პრიორიტეტებად განსაზღვრული იყო საერთო კრების გადაწყვეტილებების შესრულების ღონისძიებები, რომელთაგან გამოვყოფთ:

IFAC-ის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას წევრობის ვალდებულებების (SMO) მოთხოვნების შესრულების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებით მიღებული შედეგის დასტურია IFAC-დან ბაფისადმი გამოგზავნილი სამადლობელი წერილი, რითაც

დასტურდება, რომ მოქმედი 7 SMO-დან 6-ში მიღწეულია სრული შესაბამისობა და მხოლოდ ერთი - დისციპლინა და მოკვლევა (SMO 6) ჩაითვალა ნაწილობრივ შესრულებულად;

პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაფართოების ფარგლებში, გამგეობის გადაწყვეტილებით საანგარიშო პერიოდში: შეიქმნა სპეციალური კომიტეტი; ჩატარებულია სხვადასხვა სტრუქტურებთან შეხვედრები და გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები 5 ბიზნესასოციაციასთან, შემოსავლების სამსახურთან, ბუღალტრული რეფორმის ბენეფიციართა ფონდთან, საპენსიო სააგენტოსთან;

წევრებთან ურთიერთობის საკითხების შემდგომი სრულყოფის მიზნით, 2023 წლიდან ბაფში მოქმედებს ახალი პროგრამა, რითაც გაუმჯობესებულია წევრებთან კავშირი და უკუკავშირი. ყველა წევრს უსასყიდლოდ მიეწოდება ყოველთვიური ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა, ჩატარებულია რეგიონალური შეხვედრები, ბაფის ღია კარის დღე პროფესიულ საკითხებზე სამსჯელოდ და სხვა;

ბაფის სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და მიღებულ იქნა ბაფის საკონსულტაციო საბჭოს დებულება; მომზადებულია ბაფის მმართველობის წევრთა ქცევის კოდექსის პროექტი და განხილულია გამგეობის მიერ.

ბაფის გამგეობის თავმჯდომარის ინფორმაციით, ბაფის 2022 წლის საერთო კრებაზე 2023 წლის სამოქმედო პრიორიტეტებად განსაზღვრული საკითხებიდან არ განხილულა მხოლოდ საწესდებო ცვლილებების მომზადება და საერთო კრებისთვის წარდგენა, რადგან მიმდინარე ეტაპზე გამგეობამ მისი აუცილებლობა ვერ დაინახა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სარევიზიო კომისიამ შეისწავლა გამგეობის საქმიანობის შესაბამისობა წესდებით (მუხლი 11) განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებთან და ამ ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები, მ.შ. ბაფის ფილიალებთან (ღია წარმომადგენლობები) მიმართებაში, რადგან რეგიონებში წარმომადგენლობების შექმნა და მათი საქმიამობის კოორდინაცია გამგეობის პრეროგატივაა. ფილიალების საქმიანობის მიმოხილვა გავაკეთეთ გასული წლის ფინანსური ანგარიშგების, მიმდინარე წლის დაგეგილი და ფაქტობრივი შემოსავლების და ხარჯების შესწავლის ჭრილში. კონსოლიდირებული შემოსავლებში (914,500 ლარი) რეგიონების წილი შეადგენს 5%-ს (48,650 ლარი), წევრების საერთო რაოდენობაში (5,300) რეგიონალური წევრები არის 8%.

**საქმიანობის შეფასება:** საანგარიშო პერიოდში გამგეობის საქმიანობას ვაფასებთ დადებითად. შეფასების საფუძველია: საერთო კრების მიერ განსაზღვრული სამოქმედო პრიორიტეტების შესრულება; წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

**რეკომენდაცია:** გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ რეგიონებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენის მიზნით, გამგეობამ წესდების მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილოს ფილიალების წრის გაფართოებისა და მათ საქმიანობაზე გამგეობის წევრების კურატორობის შესაძლებლობის საკითხი.

*ბ). კომიტეტების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა*

ბაფში, მიმდინარე ეტაპზე, ფუნქციონირებს 9 კომიტეტი, რომელთაგან 3 - პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან, მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტორულ კომპანიებთან და ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტრებთან ურთიერთობის კომიტეტები - შექმნილია საანგარიშო წელს. კომიტეტების საქმიანობის ზოგადი პრინციპები განსაზღვრულია „კომიტეტების საქმიანობის შესახებ“

დებულებით, ხოლო ცალკეული კომიტეტისათვის დამტკიცებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლება-მოვალეობები.

ყველა კომიტეტს შედგენილი და ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმები, რომლის შესაბამისად თითოეულ კომიტეტს გაწეული აქვს მნიშვნელოვანი სამუშაოები. კომიტეტების საქმიანობის დეტალების მიმოხილვა, ალბათ, გამგეობის ანგარიშში იქნება წარმოდგენილი, ამიტომ კომიტეტის თავმჯდომარეების მიერ მოწოდებული მასალისა და მათთან კომუნიკაციით მიღებული ინფორმაციის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე დავრწმუნდით, რომ თითოეული კომიტეტი მოქმედებდა დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და უფლებამოსილების ფარგლებში. ძირითადად, შესრულებულია საანგარიშო წლის სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რამდენიმე კომიტეტის (წევრებთან ურთიერთობის, განათლების, მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტურ კომპანიებთან ურთიერთობის) გარდა, სრულად არ არის დოკუმენტირებული შესრულებული სამუშაობის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ დებულებებით გათვალისწინებულია წელიწადში მინიმუმ 4 სხდომის ჩატარება და შესაბამისი საოქმო ჩანაწერების გაკეთება, რაც კომიტეტების ნაწილს ნაწილობრივ, ან საერთოდ არა აქვს დოკუმენტირებული.

**საქმიანობის შეფასება:** საანგარიშო პერიოდში კომიტეტების საქმიანობას, განზოგადებულად, ვაფასებთ დამაკმაყოფილებლად.

**რეკომენდაცია:** მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებული მასალებითა და ზეპირი ინფორმაციით (თავმჯდომარეებთან გასაუბრება) დასტურდება კომიტეტების მიერ გაწეული საქმიანობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესრულებულ სამუშაოების დოკუმენტირება, საოქმო ჩანაწერებით.

## 2. აღმასრულებელი სტრუქტურის შიდა კონტროლის სისტემისა და საქმიანობის შეფასება

### *ა). საქმიანობის შესაბამისობა წესდებასა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან*

აღმასრულებელი სტრუქტურა უზრუნველყოფს ორგანიზაციისა და კომიტეტების საქმიანობას და ასრულებს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს გამგეობისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით. კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია "მენეჯერული პროცედურები"; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდაგანაწესითა და ბაფის „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციით". ინსტრუქციაში გაწერილია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები, ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებები ჩამოყალიბებული და გამიჯნულია. თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების შიდა ნორმატიული ბაზა, შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი და დაცულია შრომის უსაფრთხოების მოქმედი ნორმები.

წევრებისა და ბაფის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია: ბაფის ვებგვერდის; ფეისბუქგვერდის; ყოველთვიური ჟურნალის მეშვეობით, სადაც ქვეყნდება საქმიანობის სიახლეები, ბაფის შიდა ნორმატიული აქტები, ბიუჯეტი, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, საქმიანობის ანგარიშები და სხვა.

სარევიზიო კომისიას მიაჩნია, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის შიდა კონტროლისა და მართვის სისტემა გამართულია და შესაბამისობაშია ბაფის წესდებასა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან.

### *ბ). ფაქტიური შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობა დაგეგმილ ბიუჯეტთან*

ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ყოველწლიურად მომზადებულ ბიუჯეტის ასევე, საქმიანობის წლიური ფინანსური შედეგებისა (ფინანსური ანგარიშგება) და სხვა მნიშვნელოვან პროექტებს განიხილავს და ამტკიცებს გამგეობა. გამგეობის გადაწყვეტილებით, ყოველწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება სავალდებულოა. შესაბამისად, გასული წლების საანგარიშო პერიოდების საქმიანობაზე და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩატარებულია აუდიტი და გაცემულია უპირობო დადებითი დასკვნები. დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და წლიური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მუხლობრივად და თანხობრივ პარამეტრებში, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, განთავსებულია ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“ და გამოქვეყნებულია ჟურნალში „ბუღალტრული აღრიცხვა“.

კომისიის მიერ შესამოწმებელი პერიოდის (11 თვე) გათვალისწინებით, ჩვენ ვერ განვიხილავდით წლიური ფინანსური ანგარიშგების შედეგებს. ამიტომ სარევიზიო კომისიამ გააკეთა როგორც ბაფის სათაო ოფისის, ასევე ფილიალების 2023 წლის დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა და შესწავლა, 11 თვიან პერიოდზე. ყველა ფილიალს (წარმომადგენლობას) აქვს საბანკო ანგარიში და შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ადგილზე. ბაფის წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის ფილიალები საბუღალტრო ოპერაციების შესახებ ანგარიშებს აწვდიან ბაფის მთავარ ბუღალტერს.

ბიუჯეტით დაგეგმილი და ფაქტიური მონაცემების ანალიზით, იკვეთება, რომ დაგეგმილთან შედარებით, წლიური შემოსავლების ნაწილში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო ხარჯების ნაწილში არაარსებითი შემცირება. ჩვენი მოსაზრების საფუძველს იძლევა ანგარიშზე ქვემოთ დართული მონაცემები.

წარმოგიდგენთ ბაფის 2023 წლის შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილი და ფაქტიური შესრულების 11 თვის მონაცემებს მუხლობრივი პარამეტრებით შესაბამისობის მდგომარეობა

**ბაფის 2023 წლის ფაქტიური შემოსავლებისა დახარჯების მუხლობრივი შედარება დაგეგმილთან (ლარში)**

| | **შემოსავლები** | **დაგეგმილი წლიური ბიუჯეტით** | **დაგეგმილი 11 თვე** | **ფაქტიური 11 თვე** | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საწევრო შენატანებით მიღებული შემოსავლები | **436,376** | **400011** | **341,089** | კომენტარი 1 |
| 2 | განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან | **448,680** | **411290** | **461,898** | |
| 3 | სხვა შემოსავლები | **173,600** | **159,133** | **185,176** | კომენტრი 2 |
| | **ხარჯები** | | | | |
| 1 | საწევრო შემოსავლებით დაფინანსებული ხარჯები | **424,680** | **389,290** | **335,548** | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | განათლებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები | **455,690** | **417,716** | **401,303** | |
| 3. | სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები | **174,150** | **165 282** | **189, 901** | კომენტარი 3 |

აღმასრულებელი დირექტორის განმარტებით:

**კომენტარი 1.** შემოსავლების შემცირება დაგეგმილთან შედარებით გამოწვეულია ახალი საწევრო პროგრამის ამოქმედებით, რომლითაც შიცვალა საწევრო გადასახდელის დარიცხვის პრინციპი. კერძოდ, მიმდინარე წლამდე საწევროს დარიცხვა ხდებოდა წევრების გარიცხვამდე პერიოდში და ამ პრინციპით იყო დაგეგმილი შემოსავლები. ახალი პროგრამით, შემოღებულია წევრობის შეჩერების პრინციპი, რა დროსაც (წევრობის შეჩერების პერიოდში) არ ხდება საწევროს დარიცხვა.

**კომენტარი 2.**

სხვა შემოსავლებსა (პუნქტი 3) და მასთან დაკავშირებული ხარჯების (პუნქტი 5) ფაქტიურ მონაცემებში, თანაბარწილად, შესულია აუდიტორთა სემინარის ჩატარებიდან მიღებული შემოსავალი და მასთან დაკავშირებული ხარჯი (25,500 ლარი), რაც დაიგეგმა მიმდინარე წელს და ბიუჯეტში გათვალისწინებული ვერ იქნებოდა.

**საქმიანობის შეფასება:** სარევიზიო კომისია დადებითად აფასებს აღმასრულებელი სტრუქტურის საანგარიშო პერიოდის საქმიანობას.

**რეკომენდაცია:** ვინაიდან ფილიალები არ არიან დამოუკიდებელი იურიდიული პირები და განიხილებიან როგორც ბაფის წარმომადგენლობები, მიზანშეწონილია აღმასრულებელმა სტრუქტურამ განიხილოს მათი საქმიანობის ცენტალიზებულად აღრიცხვის შესაძლებლობა.

21 დეკემბერი, 2023 წელი

**სარევიზიო კომისიის წევრები:**

1. თინათინ ღვინიფაძე (თავმჯდომარე)
2. მაგდა გორდეზიანი
3. ლალი კობიძე